



სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2024)

შესავალი

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა არის ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას გვაძლევს, თსუ-მ წარმატებულად გაიაროს გზა დასახული მიზნების მისაღწევად, თავისი მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესაბამისად. სტრატეგიული განვითარების გეგმის პირველადი ვერსია შემუშავდა რექტორის ხელმძღვანელობით, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით 2016 წლის შემოდგომაზე და დამტკიცდა 2016 წლის 19 დეკემბერს აკადემიური საბჭოს მიერ. უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის განახლება საჭირო გახდა ავტორიზაციის ახალი სტანდარტების ამოქმედების შემდეგ, საავტორიზაციო მოთხოვნებთან მისი შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების განახლებულ გეგმას საფუძვლად დაედო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია "საქართველო 2020", საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულება და ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის ძირითადი სარეკომენდაციო დოკუმენტები, წამყვანი ევროპული და ჩრდილოამერიკული უნივერსიტეტების გამოცდილება.



უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებისა და მისი განახლების პროცესში აგრეთვე გამოყენებულ იქნა ბოლო წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეფექტიანობისა და საჭიროებათა შეფასების რამდენიმე ფართომასშტაბიანი კვლევა, კერძოდ: 2008 წელს შესრულებული ანგარიში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშაობის ეფექტიანობის შესახებ (შემსრულებელი: Kelly Novak Opportunities), 2008 წელს შესრულებული ანგარიში ტექნოლოგიის ინსტიტუციური გამოყენების შესახებ (შემსრულებელი: AACRAO Consulting), 2009 წელს შესრულებული კვლევის ანგარიში ორგანიზაციული ეფექტიანობის შესახებ (შემსრულებელი: ნიუ იორკის უნივერსიტეტის სუნი დელჰაის კამპუსის პრეზიდენტი პროფესორი კენდის ვანკო), 2013 წელს შესრულებული კვლევის ანგარიში „ადმინისტრაციული რეფორმები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ (შემსრულებელი: პროფესორი ენ ლონსდეილი), 2015 წელს შესრულებული „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში 2012-2013 წლებისთვის“ (შემსრულებელი: სახელმწიფო აუდიტის სამსახური), 2016 წლის „მისაღები ხარისხის განათლების უზრუნველყოფა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში“ (შემსრულებელი: სახელმწიფო აუდიტის სამსახური). 2017 წლის ფრაისვოთერჰაუსკუპერსი ცენტრალური აზია და კავკასია ბი.ვი-ს ფილიალის საქართველოში (“PwC”) მიერ ჩატარებული კვლევა.

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების განახლებული სტრატეგიული გეგმა დაეფუძნა აგრეთვე 2011-2017 წლების სტრატეგიის იმპლემენტაციის შედეგად მიღწეული შედეგების ანალიზს. გარდა ამისა, რექტორის ხელმძღვანელობით კვლავ შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც გააერთიანა უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, სტუდენტების წარმომადგენლები. სტრატეგიას საბოლოო სახე მიეცა კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან, არასამთავრობო და სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებთან კონსულტაციის შედეგად.

მოცემული დოკუმენტი მიმოიხილავეს თსუ-ს წინაშე მდგარ ძირითად სტრატეგიულ გამოწვევებს და წარმოადგენს მოქმედების ჩარჩოს, რომელიც ამ გამოწვევების დაძლევისა და არსებული შესაძლებლობების გათვალისწინებით სტრატეგიული მიზნების მიღწევას გახდის შესაძლებელს.

I. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია

უნივერსიტეტის სტრატეგიის შემუშავების/მისი განახლების მიზნით რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება სტრატეგიაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს რექტორი და რომლის შემადგენლობაში



შედიან უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, სტუდენტების წარმომადგენლები. სტრატეგიაზე მუშაობის პროცესში მუდმივად მიმდინარეობს კონსულტაციები ფაკულტეტების, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების წარმომადგენლებთან და სხვ.

სტრატეგიული განვითარების გეგმის ფორმირების პროცესში უნივერსიტეტი ითვალისწინებს ინსტიტუციური ეფექტიანობის შიდა და გარე შეფასების, ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის შედეგებს, უნივერსიტეტის საქმიანობისა და პოლიტიკის განმსაზღვრელ ძირითად ეროვნულ და საერთაშორისო დოკუმენტებს, აგრეთვე მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილებას საერთაშორისო კონტექსტის გასათვალისწინებლად.

სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების საწყის ეტაპზე კეთდება ძირითადი სტრატეგიული მიმართულებების იდენტიფიკაცია, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს დანესებულების წესდებით დადგენილ უნივერსიტეტის მიზნებს. შემდგომ ეტაპზე ხდება არსებული სიტუაციის ანალიზი - SWOT ანალიზი ძირითადი სტრატეგიული მიმართულებების შესაბამისად.

სტრატეგიაზე მომუშავე ჯგუფი დაინტერესებულ მხარეებთან მუდმივი კომუნიკაციის პირობებში აყალიბებს ძირითად სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს, მათ შესაბამის აქტივობებს და შესრულების ძირითად ინდიკატორებს/კრიტერიუმებს. სამოქმედო გეგმა და შესაბამისი აქტივობების განხორციელების ვადები განისაზღვრება უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელი პირების და სტრუქტურების მიერ, არსებული ადამიანური და მატერიალური, ასევე ფინანსური რესურსების გათვალისწინებით.

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა საჯარო განხილვებისა და კონსულტაციების, ყველა დაინტერესებულ მხარესთან შეჯერების შემდეგ მტკიცდება აკადემიური საბჭოს მიერ.

II. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი

უნივერსიტეტი ვალდებულია განახორციელოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი. ამ მიზნით რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება მონიტორინგის ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის რექტორი და რომლის შემადგენლობაში შედიან უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები - ფაკულტეტების, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების, სტუდენტების წარმომადგენლები.



უნივერსიტეტის ადმინისტრაცია წელიწადში ერთხელ მონიტორინგის ჯგუფს წარუდგენს ანგარიშს სტრატეგიული განვითარებისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის შესახებ შესრულების ძირითადი ინდიკატორების მიხედვით. მონიტორინგის ჯგუფი სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის ანგარიშის შეფასების შედეგებს და მისგან გამომდინარე რეკომენდაციებს წარუდგენს აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოს, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ახდენენ შესაბამის რეაგირებას;

სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია სტრატეგიაზე მომუშავე ჯგუფის და/ან მონიტორინგის ჯგუფის არგუმენტირებული მოთხოვნის შემთხვევაში.

III. SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები:

- ✓ უნივერსიტეტის ტრადიცია და ხანგრძლივი ისტორია;
- ✓ უნივერსიტეტის რეპუტაცია და პრესტიჟი;
- ✓ მონაწილეობა პრესტიჟულ საუნივერსიტეტო რანჟირების სისტემებში;
- ✓ ძლიერი სამეცნიერო სკოლები;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების ფართო არჩევანი (მათ შორის დარგები, რომლებიც მხოლოდ აქ ისწავლება);
- ✓ ორმაგი აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საგანმანათლებლო პროგრამები;
- ✓ ინტენსიური საერთაშორისო კონტაქტები;
- ✓ მდიდარი საბიბლიოთეკო რესურსები;
- ✓ უწყვეტი განათლების შესაძლებლობები;

სუსტი მხარეები:

- ✓ არასაკმარისი ფინანსები;
- ✓ მოძველებული ინფრასტრუქტურა;
- ✓ სწავლებასა და სამეცნიერო კვლევებში ჩართული ახალგაზრდა კადრების სიმცირე;
- ✓ ბიუროკრატიული პროცესები;
- ✓ ხარისხის კულტურის ნაკლებობა;



განვითარების შესაძლებლობები:

- ✓ დამატებითი ფინანსების მოზიდვა ეროვნული და საერთაშორისო წყაროებიდან;
- ✓ საერთაშორისო თანამშრომლობის გამოცდილება და მისი განვითარების პერსპექტივები;
- ✓ სტუდენტების, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის პოტენციალი;
- ✓ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა პოტენციალი;

რისკები:

- ✓ უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების დაფინანსების არსებული მოდელი;

IV. სტრატეგიული განვითარების გეგმის სტრუქტურა

I. სტრატეგიული მიმართულება: სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობა

სტრატეგიული მიზანი 1: სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის განვითარება

სტრატეგიული მიზანი 2: სამეცნიერო-კვლევების ინტეგრირება საგანმანათლებლო პროცესში

სტრატეგიული მიზანი 3: სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია

სტრატეგიული მიზანი 4: სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

II. სტრატეგიული მიმართულება: საგანმანათლებლო საქმიანობა

სტრატეგიული მიზანი 5: საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზაცია

სტრატეგიული მიზანი 6: საგანმანათლებლო საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია

სტრატეგიული მიზანი 7: მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ხელშეწყობა

სტრატეგიული მიზანი 8: საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება



III. სტრატეგიული მიმართულება: სტუდენტური ცხოვრება

სტრატეგიული მიზანი 9: სტუდენტური ცხოვრების განვითარება

IV. ინსტიტუციური განვითარება

სტრატეგიული მიზანი 10: მართვის სისტემის გაუმჯობესება, ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების განვითარება

V. ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები

1) სტრატეგიული მიმართულება: სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობა

არსებული სიტუაცია:

უკანასკნელი წლების განმავლობაში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმატებით მონაწილეობს მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების რანჟირების სხვადასხვა სისტემაში. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია Times Higher Education, Shanghai Ranking – Academic Ranking of World Universities და U. S. News & World Report (Clarivate Analytics) – Best Global Universities Ranking.

2017 წლის მონაცემებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი „თაიმსის“ მსოფლიოს უნივერსიტეტების 2018 წლის რანჟირებაში მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების 5%-ში მოხვდა. მსოფლიოს 1500-ზე მეტ საუკეთესო კვლევით უნივერსიტეტს შორის თსუ 1001+ ადგილს იკავებს და რანჟირების ჩამონათვალში ერთადერთი უნივერსიტეტია საქართველოდან და რეგიონიდან. Times Higher Education World University Rankings-ის ინფორმაციით, გამოქვეყნებული 1000-ეული მსოფლიოს 20 ათასი უნივერსიტეტის 5%-ს შეადგენს.

2017 წლის მონაცემებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ევროპის 400 საუკეთესო უნივერსიტეტის ჩამონათვალში 301+პოზიცია დაიკავა. თსუ რეგიონში ერთადერთი უნივერსიტეტია, რომელიც Times Higher Education-ის



მონაცემებით ევროპის 400 საუკეთესო უნივერსიტეტს შორისაა. თსუ-მ ყველაზე დიდი შეფასება საერთაშორისო ცნობადობისა და ინდუსტრიული შემოსავლის კომპონენტში აიღო.

შანხაის მსოფლიოს უნივერსიტეტების დარგობრივ რანჟინგში (ShanghaiRanking), 2017 წლის მონაცემებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მსოფლიოს 500 საუკეთესო უნივერსიტეტს შორის მოხვდა. შანხაის დარგობრივ რანჟინგებში თსუ-ის ფიზიკის მიმართულება №151-200 პოზიციას იკავებს. თსუ პირველი უნივერსიტეტია არა მარტო საქართველოდან, არამედ რეგიონიდან, რომელიც შანხაის მსოფლიოს უნივერსიტეტების დარგობრივ რანჟინგებში მოხვდა.

2017 წლის მონაცემებით, U. S. News & World Report (Clarivate Analytics)-ის 2018 წლის მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების რანჟინგებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 359-ე ადგილი დაიკავა, ანუ მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების 2 %-ში მოხვდა.

თსუ წარმატებით მონაწილეობს 21-ე საუკუნის უმნიშვნელოვანეს ექსპერიმენტში, რომელიც მიმდინარეობს ბირთვული კვლევების ევროპული ცენტრის (CERN, შვეიცარია) დიდ ადრონულ კოლაიდერზე ATLAS ექსპერიმენტის სახელწოდებით. ამასთან ერთად უნივერსიტეტი ჩართულია იულიხის კვლევითი ცენტრის (გერმანია) და იაპონიის პროტონების ამჩქარებელთა კომპლექსზე (J-PARC) დაგეგმილ JEDI და COMET ექსპერიმენტებში.

საერთაშორისო თანამშრომლობის თვალსაზრისით საგანგებოდ უნდა აღინიშნოს იულიხის ცენტრთან არსებული ქართულ-გერმანული თერთმეტწლიანი სამეცნიერო ურთიერთობები, რომელთა ფარგლებში ხორციელდება არა მხოლოდ მობილობები, არამედ უკანასკნელ ორ წელიწადში გაიხსნა ექსპერიმენტული ფიზიკის თანამედროვე ლაბორატორია SMART|EDM_Lab-ი და ატმოსფერული კვლევების საერთაშორისო სტანდარტების SMART AtmoSim ლაბორატორია.

სამეცნიერო კვლევების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს აგრეთვე განახლებული დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტიც, რომელიც დისერტაციის დაცვის აუცილებელ პირობად ითვალისწინებს სამეცნიერო პუბლიკაციების ისეთ საერთაშორისო ჟურნალებში ან საკონფერენციო მასალებში გამოქვეყნებას, რომლებსაც მინიჭებული აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი), რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. გარდა ამისა, ერთ-ერთი პუბლიკაცია მაინც უნდა იყოს დაბეჭდილი ისეთ



საერთაშორისო ჟურნალში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის, Web of Science-ის, ან ERIH PLUS-ის ბაზებში.

კვლევების ხელშეწყობისა და პროდუქტიულობის მაჩვენებელია თსუ-ის პერიოდული სამეცნიერო გამოცემები, რომლებიც ინდექსირებულია Scopus-ის, ან ERIH PLUS-ის მიერ. კერძოდ, თსუ ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ორი ჟურნალი (“Bulletin of TICMI” და “Lecture Notes of TICMI”), ასევე თსუ ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ჟურნალი “Memoirs on Differential Equations and Mathematical Physics” ინდექსირებულია Scopus-ის მიერ, ხოლო თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ჟურნალი “Sjani” (<http://www.sjani.ge/>) და თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ჟურნალი „Ekonomisti“ (<http://ekonomisti.tsu.ge/?leng=eng&cat=nomer>) ინდექსირებულია ERIH PLUS-ის მიერ. რაც შეეხება თსუ ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ჟურნალს “Transactions of A. Razmadze Mathematical Institute” იგი განთავსებულია Elsevier-ის ScienceDirect ბაზაში.

საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) სექტორში 2010-2011 წელს განხორციელებული რეფორმის შედეგად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შემოუერთდა 16 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ვინაიდან აღნიშნულ რეფორმას ფორმალური ხასიათი ჰქონდა, სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს არ მიეცათ განვითარების, ხოლო უნივერსიტეტს მათი მდიდარი მატერიალური და ადამიანური რესურსის გამოყენების შესაძლებლობები. აღნიშნულ ინსტიტუტებს შორის არსებული დისტანციის აღმოფხვრის მიზნით, 2015 წელს ცვლილებები შევიდა უმაღლესი განათლების შესახებ კანონში, რომლის მიზანი იყო კვლევისა და სწავლების ინტეგრირების გაღრმავება და კვლევითი პოტენციალის გაზრდა. მიუხედავად პოზიტიური ცვლილებებისა, ეს უკანასკნელი კვლავაც გამოწვევის წინაშე დგას, რაც სამეცნიერო კვლევების ხარისხის გაუმჯობესებასა და ინოვაციური კულტურის განვითარებას უკავშირდება და, თავის მხრივ, არასაკმარისი დაფინანსებით არის გამოწვეული.

ასევე, არასაკმარისად არის განვითარებული უნივერსიტეტისა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების თანამშრომლობა კერძო და საჯარო, არასამთავრობო სექტორთან, რის გამოც მთელ რიგ დარგებში ვერ ხორციელდება თსუ-ს სამეცნიერო რესურსების გამოყენება, პრიორიტეტული საკვლევი თემების განსაზღვრა და დაწესებულების განვითარებისთვის აუცილებელი ტექნოლოგიური ტრანსფერისა და კვლევის კომერციალიზაციის უზრუნველყოფა.



სამეცნიერო აქტივობის მაჩვენებლების გაუმჯობესების მიუხედავად, ჯერ კიდევ არსებობს საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნოლოგიური სივრცისათვის დამახასიათებელი ძირითადი პრიორიტეტების, კვლევის კულტურის, ეთიკის არსებული ნორმებისა და მიდგომების გაზიარებისა და დანერგვის საჭიროება, რაც პირდაპირ კავშირშია ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაღრმავებასთან. ეს კი, თავის მხრივ, საერთაშორისო პროექტებსა და პროგრამებში ჩართულობით მიიღწევა.

მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის კვლევით ერთეულებში არსებული სამეცნიერო აპარატურისა და აღჭურვილობის, პროგრამული უზრუნველყოფის განახლება, შენახვის, ოპერირებისა და გამოყენების საერთაშორისოდ აღიარებული ნორმებისა და მიდგომების დანერგვა.

სტრატეგიული მიზანი I: სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის განვითარება

სტრატეგიული ამოცანები	ინდიკატორები
<p>ამოცანა I.1 აკადემიური ღირებულებებისა და კულტურის მხარდაჭერა - აკადემიური თავისუფლებისა და აკადემიური ეთიკის კომისიის ეფექტიანობის გაზრდა, პლაგიატის აღმოფხვრა, მასთან ბრძოლის არსებული საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება.</p>	<p>აკადემიური კულტურის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტაციის შემუშავება საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით;</p> <p>პლაგიატის სანინააღმდეგო პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა;</p> <p>პლაგიატის საპრევენციო და ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული ღონისძიებების რაოდენობა;</p> <p>პლაგიატის გამოვლენილი შემთხვევების რაოდენობა;</p>
<p>ამოცანა I.2 საერთო საუნივერსიტეტო მინიმალური სამეცნიერო სტანდარტის განვითარება და დანერგვა.</p>	<p>საერთო საუნივერსიტეტო მინიმალური სამეცნიერო სტანდარტის არსებობა;</p> <p>საერთო საუნივერსიტეტო მინიმალური სამეცნიერო სტანდარტის დანერგვის შედეგები (პუბლიკაციების, გრანტების და ა.შ. რაოდენობა);</p>



<p>ამოცანა I.3 სამეცნიერო კვლევების ხარისხის ამაღლება - მაღალი რეიტინგის სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნების ხელშეწყობა წამყვან საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში.</p>	<p>გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობა მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში (საერთაშორისო ბიბლიომეტრიული ბაზების მიხედვით (SCOPUS, WoS));</p> <p>ახალგაზრდა მეცნიერებისა და ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის ბიბლიომეტრიული ბაზების სარგებლობა/გამოყენებაზე (რაც სტატიების გამოქვეყნებასაც მოიცავს) ტრენინგები/კონსულტაციები;</p>
<p>ამოცანა I.4 აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობა განსაკუთრებით იმ მიმართულებით, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ქვეყნის ეროვნულ და სტრატეგიულ მიზნებს და ეკონომიკურ განვითარებას, აგრეთვე იმ მიმართულებებით, სადაც უნივერსიტეტს მდიდარი ტრადიცია და განვითარების პოტენციალი აქვს. კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე გამოყენებითი და ტექნოლოგიური კვლევების ხელშეწყობა (მაგალითად ბიუჯეტში თანადაფინანსების არსებობა ასეთი პროექტების მოპოვებისთვის).</p>	<p>კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე გამოყენებითი და ტექნოლოგიური კვლევების ხელშეწყობის ღონისძიებების რაოდენობა;</p> <p>კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე გამოყენებითი და ტექნოლოგიური კვლევებისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანადაფინანსების მოცულობა;</p> <p>STI დაფინანსება სახელმწიფო, საერთაშორისო და კერძო წყაროებიდან;</p> <p>STI დაფინანსება კვლევის კომერციალიზაციიდან;</p>
<p>ამოცანა I.5 აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ადმინისტრაციული და ფინანსური მხარდაჭერა იმ სამეცნიერო-პერიოდული გამოცემების მომზადებაში, რომლებიც აკმაყოფილებს საერთაშორისო ელექტრონული ბაზების მოთხოვნებს.</p>	<p>საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებში განთავსებული პერიოდული გამოცემების რაოდენობა;</p>



<p>ამოცანა I.6 პოსტდოქტორანტურის სისტემის განვითარება.</p>	<p>პოსტდოქტორანტების რაოდენობა; პოსტდოქტორანტების დაფინანსების მექანიზმის ამოქმედება; პოსტდოქტორანტების დაფინანსებაზე დახარჯული თანხების მოცულობა; პოსტდოქტორანტების მიერ მოპოვებული გრანტების რაოდენობა; სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართული პოსტდოქტორანტების რაოდენობა; პოსტდოქტორანტების მიერ გამოცემული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა; საგანმანათლებლო პროცესში ჩართული პოსტდოქტორანტების რაოდენობა;</p>
<p>ამოცანა I.7 სამეცნიერო პროდუქტის კომერციალიზაცია - საპატენტო და საავტორო უფლებების დაცვის გზების შემუშავება, მათ შორის, უნივერსიტეტის საგამომცემლო და მთარგმნელობით საქმიანობაში.</p>	<p>კომერციალიზირებული სამეცნიერო პროდუქციის რაოდენობა; პატენტების რაოდენობა;</p>
<p>ამოცანა I.8 Start up-ების ხელშეწყობა დამატებითი შემოსავლების გენერირების მიზნით.</p>	<p>ე.წ. Spin-off კომპანიების რაოდენობა (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით); Start up-ების რაოდენობა; Spin-off კომპანიებიდან, Start up-ებიდან შემოსული მატერიალური სარგებლის მაჩვენებელი;</p>
<p>ამოცანა I.9 უნივერსიტეტისა და ინდუსტრიის პარტნიორობის განვითარება. „ცოდნის სამკუთხედის“ შექმნის - უმაღლესი</p>	<p>ბიზნესსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული თანამშრომლობითი ხელშეკრულებების რაოდენობა;</p>



<p>განათლების, მეცნიერებისა და მეწარმეობის კავშირის გაძლიერებისა და მეცნიერების კომერციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით საგანგებო ღონისძიებების გატარება და შესაბამისი ინიციატივების წახალისება.</p>	<p>ბიზნესსა და უნივერსიტეტს შორის არსებული თანამშრომლობის პირობებში განხორციელებული პროექტების რაოდენობა;</p> <p>ბიზნესისა და უნივერსიტეტის თანამშრომლობით შემუშავებულ პროექტებში სტუდენტთა ჩართულობის მაჩვენებელი;</p> <p>ბიზნესისა და უნივერსიტეტის თანამშრომლობით შემუშავებული პროექტებიდან უნივერსიტეტში შემოსული მატერიალური სარგებლის მაჩვენებელი;</p>
<p>ამოცანა I.10 უნივერსიტეტის ბიუჯეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსების მექანიზმების გაუმჯობესება და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის გამოყოფილი თანხების სისტემური ზრდა.</p>	<p>აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის წახალისების სისტემის შექმნა;</p> <p>სტუდენტური სამეცნიერო-კვლევითი გრანტების მოცულობა;</p>
<p>ამოცანა I.11 აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შრომის ანაზღაურების სისტემის მოდერნიზაცია და მისი კვლევის შედეგებთან და ხარისხთან დაკავშირება;</p>	<p>უნივერსიტეტის სახელფასო პოლიტიკის განმსაზღვრელი ახალი წესის არსებობა (შრომითი ანაზღაურების გამიჯვნა სწავლებისა და კვლევითი აქტივობებისათვის);</p> <p>სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის წახალისების მიზნით შექმნილი სამოტივაციო პაკეტი;</p> <p>სამეცნიერო კვლევების ფინანსურ წახალისებაზე დახარჯული თანხის მოცულობა;</p> <p>სამეცნიერო კვლევისთვის წახალისებული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა;</p>



<p>ამოცანა I.12 მეცნიერების პოპულარიზაცია.</p>	<p>ფართო საზოგადოებისთვის მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნით ორგანიზებული ღონისძიებების რაოდენობა; მეცნიერებისა და ინოვაციების კვირეულის/ფესტივალის ფარგლებში ორგანიზებული ღონისძიებების რაოდენობა; საბავშვო უნივერსიტეტის ფარგლებში მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნით ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა; მეცნიერების პოპულარიზაციის ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა;</p>
---	---

სტრატეგიული მიზანი II: სამეცნიერო კვლევების ინტეგრირება სასწავლო პროცესში

სტრატეგიული ამოცანები	ინდიკატორები
<p>ამოცანა II.1 სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების ინტეგრირება საგანმანათლებლო პროცესში.</p>	<p>სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა; ბაკალავრების/მაგისტრანტების ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა; დოქტორანტების ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა; სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი/კოორდინატორი</p>



	<p>სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა;</p> <p>აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების რაოდენობა;</p>
<p>ამოცანა II.2 დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის ამაღლება.</p>	<p>ორმაგი და ერთობლივი აკადემიური ხარისხების მიმნიჭებელი სადოქტორო პროგრამების რაოდენობა;</p> <p>ე.წ. კოტუტელის ხელშეკრულებების რაოდენობა;</p> <p>დოქტორანტების უცხოელი თანახელმძღვანელების რაოდენობა;</p> <p>დოქტორანტურის კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული ორმაგი და ერთობლივი აკადემიური ხარისხის რაოდენობა;</p> <p>გაცვლით პროგრამებში მონაწილე დოქტორანტების რაოდენობა;</p> <p>დოქტორანტურის გრანტების მფლობელთა რაოდენობა;</p> <p>სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართული დოქტორანტების რაოდენობა;</p> <p>დოქტორანტურის კურსდამთავრებულთა მაჩვენებელი;</p> <p>დოქტორანტურის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;</p> <p>დოქტორანტურის სტუდენტების კმაყოფილების კვლევის მაჩვენებელი;</p> <p>დოქტორანტურის კურსდამთავრებულთა კმაყოფილების მაჩვენებელი;</p>
<p>ამოცანა II.3 სადოქტორო სკოლების შექმნის ხელშეწყობა.</p>	<p>სადოქტორო სკოლის შექმნის მიზნით მოზიდული თანხების მოცულობა;</p>



	<p>სადოქტორო სკოლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საუნივერსიტეტო რეგულაციების არსებობა;</p> <p>სადოქტორო სკოლაში გაერთიანებული სადოქტორო პროგრამების რაოდენობა;</p> <p>სადოქტორო სკოლის სტუდენტთა რაოდენობა;</p> <p>სადოქტორო სკოლის სტუდენტთა კმაყოფილების მაჩვენებელი;</p>
<p>ამოცანა II.4 კვლევითი კომპონენტის გაძლიერება ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებში.</p>	<p>სტუდენტური კონფერენციების რაოდენობა;</p> <p>სტუდენტურ კონფერენციებში მონაწილე ბაკალავრების რაოდენობა;</p> <p>სტუდენტურ კონფერენციებში მონაწილე მაგისტრანტების რაოდენობა;</p> <p>სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართული ბაკალავრების რაოდენობა;</p> <p>სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართული მაგისტრანტების რაოდენობა;</p> <p>დაფინანსებული სტუდენტური სამეცნიერო-კვლევითი პროექტების რაოდენობა;</p> <p>სტუდენტურ სამეცნიერო-კვლევით პროექტებზე დახარჯული თანხების მოცულობა;</p> <p>ბაკალავრების მიერ გამოცემული სამეცნიერო სტატიების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში);</p> <p>მაგისტრანტების მიერ გამოცემული სამეცნიერო სტატიების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში);</p>



სტრატეგიული მიზანი III: სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია

სტრატეგიული ამოცანები	ინდიკატორები
<p>ამოცანა III.1 სამეცნიერო კვლევების ინტერნაციონალიზაცია.</p>	<p>უცხოეთის წამყვან უსდ-ებთან და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობით განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი გრანტების რაოდენობა;</p> <p>უცხოეთის წამყვან უსდ-ებთან და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობით განხორციელებული ერთობლივი სამეცნიერო პუბლიკაციები;</p>
<p>ამოცანა III.2 საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების მიმართულებით.</p>	<p>მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო კვლევით ცენტრებთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების მიმართულებით;</p> <p>გაცვლით პროგრამებში მონაწილე სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა;</p> <p>მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობით საქართველოსა და უცხოეთში ჩატარებული საერთაშორისო ღონისძიებების</p>



	<p>რაოდენობა, რომელთა პროგრამები/თემისები/საკონფერენციო მასალები (სრული სახით სტატიები) ბილინგვური ან უცხოენოვანი ელექტრონული ან ბეჭდური სახით მიწოდებულია თსუ ბიბლიოთეკებისთვის;</p> <p>საქართველოში ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების (კონფერენციები, სემინარები, ვორკშოპები და სხვ.) ქართველი და უცხოელი მონაწილეების რაოდენობა;</p>
<p>ამოცანა III.3 საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების საზღვარგარეთ არსებული ცენტრების საქმიანობის ხელშეწყობა.</p>	<p>ერთობლივი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების რაოდენობა საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებით;</p> <p>ერთობლივი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი ღონისძიებების რაოდენობა;</p> <p>ერთობლივ საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით გაცვლით პროგრამებში მონაწილეთა რაოდენობა;</p>

სტრატეგიული მიზანი IV: სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

სტრატეგიული ამოცანები	ინდიკატორები
<p>ამოცანა IV.1 სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური ლაბორატორიების შექმნა და არსებულების რეაბილიტაცია.</p>	<p>რეაბილიტირებული სამეცნიერო-კვლევითი სივრცეების მოცულობა;</p>



	შექმნილი სამეცნიერო-კვლევითი სივრცეების მოცულობა;
ამოცანა IV.2 სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური ლაბორატორიების აღჭურვა თანამედროვე ტექნიკით.	შექმნილი თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობა; თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობის შექმნაზე დახარჯული თანხების მოცულობა;
ამოცანა IV.3 უნივერსიტეტის ბალანსზე არსებული (მათ შორის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების) საველე ბაზების ინფრასტრუქტურის განახლება-განვითარება.	განახლებული/რეაბილიტირებული/განვითარებული საველე ბაზების მოცულობა; საველე ბაზების განახლება/რეაბილიტაცია/განვითარებაზე დახარჯული თანხების მოცულობა;
ამოცანა IV.4 თითოეულ ფაკულტეტზე დოქტორანტებისთვის სამუშაო სივრცის გამოყოფა და შესაბამისი ტექნიკით აღჭურვა (სამუშაო მაგიდები, სკამები, კომპიუტერები, ლეპტოპი, ბიმერი, მაგიდა ჯგუფური მუშაობისთვის).	დოქტორანტებისთვის გამოყოფილი და სათანადოდ აღჭურვილი სივრცეები;
ამოცანა IV.5 უნივერსიტეტის და საფაკულტეტო ბიბლიოთეკების აღჭურვა დამატებითი კომპიუტერებით.	უნივერსიტეტის და საფაკულტეტო ბიბლიოთეკებში დამატებული კომპიუტერების რაოდენობა;
ამოცანა IV.6 საბიბლიოთეკო ფონდების გამდიდრება უახლესი ქართული და უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურით, სამეცნიერო-პერიოდული გამოცემებით, საერთაშორისო ელექტრონული ბაზებით.	შექმნილი ქართული და უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის რაოდენობა; შექმნილი უახლესი სამეცნიერო პერიოდიკის რაოდენობა; წვდომა საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე; საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული ბაზების



	<p>გამოყენების მაჩვენებელი;</p> <p>სამეცნიერო ლიტერატურის, პერიოდული გამოცემების, საერთაშორისო ელექტრონული ბაზების შექმნაზე დახარჯული თანხები;</p>
<p>ამოცანა IV.7 უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდებში დაცული უნიკალური გამოცემების რესტავრაციის მიზნით საგანგებო ღონისძიებების გატარება.</p>	<p>რესტავრირებული გამოცემების რაოდენობა;</p> <p>გამოცემების რესტავრირებაზე დახარჯული თანხები;</p> <p>რესტავრირებისთვის გარედან მოზიდული თანხები;</p>

2) სტრატეგიული მიმართულება: საგანმანათლებლო საქმიანობა

არსებული სიტუაცია:

ბოლო წლებში საქართველოს განათლების სისტემამ ძირეული ცვლილებები განიცადა, როგორც სტრუქტურულ, ისე შინაარსობრივ დონეზე. ევროპის უმაღლესი განათლების სივრცესა (EHEA) და კვლევით სივრცეში (ERA) ინტეგრირების, განათლების ხარისხის განვითარების და ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ინტერნაციონალიზაციის მიზნით არაერთი ნაბიჯი იქნა გადადგმული. ამ პროცესებს ერთ-ერთი პირველი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი შეუერთდა და დანერგა: უმაღლესი განათლების სამსაფეხურიანი სისტემა, კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS), შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. უნივერსიტეტმა წარმატებით გაიარა 2011-2012 წლებში მიმდინარე ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესები, შეიმუშავა 240-მდე აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამა, რომელთაგან 22 უცხოენოვანია, ხოლო 7 ორმაგ აკადემიურ ხარისხს ანიჭებს; უნივერსიტეტი აქტიურად არის ჩართული ევროკავშირის პროგრამა ERASMUS+ მობილობის პროგრამებში, გაუმჯობესებულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ხელმისაწვდომობა სსსმ და შშმ სტუდენტებისთვის, განახლებულია საბიბლიოთეკო და



სამეცნიერო ფონდები, კომპიუტერული რესურს-ცენტრებით აღჭურვილია ყველა სასწავლო კორპუსი, შექმნილია და წარმატებით ფუნქციონირებენ საგამოცდო ცენტრი, უწყვეტი განათლების ცენტრი და სხვ.

უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებაა. გაფორმებულია მრავალი ორმხრივი ხელშეკრულება, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება სტუდენტური, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლითი პროგრამები. 2007 წლიდან ორმხრივ ხელშეკრულებებს და ტემპუსის პროექტებს დაემატა ახალი შესაძლებლობები – Erasmus Mundus-ის პროგრამა, ხოლო უფრო მოგვიანებით Erasmus+. აღნიშნულმა პროგრამებმა მნიშვნელოვნად გაზარდა არა მხოლოდ საქართველოდან წასული, არამედ უცხოეთიდან თსუ-ში შემოსული სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა.

